საქართველოს მთავრობის

დადგენილება №14

2018 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი გაზი) ზღვრულად დასაშვები ნორმების, მათი გაზომვისა და რეგულირების წესებისა და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში, ასევე კოლოფზე/ბლოკსა და შეფუთვაზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილებებისა და მათი დატანის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (www.matsne.gov.ge, 30/05/2017, 340150000.05.001.018458) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს თანდართული საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი გაზი) ზღვრულად დასაშვები ნორმები, მათი გაზომვისა და რეგულირების წესები და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში, ასევე კოლოფზე/ბლოკსა და შეფუთვაზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილებები და მათი დატანის წესი.

2. საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმი უნდა შეესაბამებოდეს ამ დადგენილებას, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**